კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი

კვლევების მხარდამჭერი მექანიზმები და დაფინანსების წესი

2024

1. **ზოგადი დებულებები**
   1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის" (შემდგომში - ,,უნივერსიტეტი") კვლევების მხარდამჭერი მექანიზმებისა და დაფინანსების წესი (შემდგომში: წესი) მიღებულია საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის წესდებისა და დებულების საფუძველზე.
   1.2. წინამდებარე დოკუმენტის რეგულირების სფეროა უნივერსიტეტში კვლევის მხარდამჭერი მექანიზმების განსაზღვრა, უნივერსიტეტში კვლევითი პროცესების წახალისება, კვლევების დაფინანსების საჯარო, სამართლიანი და გამჭვირვალე სისტემის შექმნა.

2. **უნივერსიტეტის საქმიანობა და მიზნები**
   2.1. უნივერსიტეტი წარმოადგენს ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას - სასწავლო უნივერსიტეტს.
   2.2. უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამებს ჯანდაცვის მიმართულებით.
   2.3. უნივერსიტეტის მისიაა უმაღლესი განათლების საერთაშორისო სტანდარტებზე დაყრდნობით, უზრუნველყოს მაღალი ხარისხის განათლება და კვლევითი საქმიანობა ჯანდაცვის სფეროში, ხელი შეუწყოს სტუდენტების კონკურენტუნარიან პროფესიონალებად ჩამოყალიბებას, რომელთაც უწყვეტი განათლების პრინციპებისა და მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების იდეის გაზიარებით შეეძლებათ საზოგადოების სამსახურში ყოფნა ადამიანის ფიზიკურ, მენტალურ და სოციალურ კეთილდღეობაზე ზრუნვის, ეთიკურ-ზნეობრივი პრინციპების დაცვისა და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების აღიარების გზით.
   2.4. უნივერსიტეტი ეფუძნება ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა სტუდენტების პერსონალური და ინტელექტუალური განვითარება, ცოდნის ძიება, აკადემიური, პროფესიული და კვლევითი თანამშრომლობის ინტერნაციონალიზაცია, ინკლუზიურობა და სამართლიანობა, მრავალფეროვნება და საგანმანათლებლო შესაძლებლობები, აკადემიური თავისუფლება, ეთიკის პრინციპების დაცვა, სოციალური პასუხისმგებლობა, პასუხისმგებლიანი მართვა.
   2.5. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის უნივერსიტეტი ქმნის შესაბამის პირობებს სრულფასოვანი განათლების მისაღებად და ამ მიზნით უზრუნველყოფს შესაბამისი მიდგომების, ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებობას.

3. **უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის მექანიზმები**
   3.1. უნივერსიტეტი, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მისი საქმიანობის ფარგლებში აყალიბებს კვლევითი საქმიანობის სტრატეგიას, ქმნის კვლევის დაფინანსების საჯარო, სამართლიან და გამჭვირვალე სისტემას, ხელს უწყობს კვლევის კულტურის განვითარებას უნივერსიტეტში, ნერგავს აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემას, ქმნის სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურს, ხელს უწყობს უნივერსიტეტში სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების შექმნას.

4. **სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახური**

4.1. უნივერსიტეტში სამედიცინო განათლების ხელშეწყობისა და მეცნიერების განვითარების მიზნით იქმნება სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახური.

4.2. სამსახურის ფუნქციებში შედის:

4.2.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტების განსაზღვრაში მონაწილეობა;

4.2.2. ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებული კვლევების განხორციელების ხელშეწყობა;

4.2.3. კვლევითი და სასწავლო პროცესის ინტეგრაციის ხელშეწყობა;

4.2.4. შესაბამისი კონტაქტების დამყარების ხელშეწყობა სამეცნიერო კვლევების განვითარებისა და განხორციელების მიზნით;

4.2.5. აკადემიური პერსონალის ინფორმირება ადგილობრივი და საერთაშორისო კვლევითი ფონდებისა და საგრანტო პროექტების შესახებ; საკონკურსო პირობების გაცნობა და ტრენინგების ორგანიზება საგრანტო განაცხადების შესავსებად;

4.2.6. კვლევითი ტიპის საგრანტო კონკურსებში მონაწილეობისათვის კონსულტაციების გაწევა აკადემიური პერსონალისათვის;

4.2.7. დახმარება პროფესიული კონტაქტებისა და კვლევითი ჯგუფების შექმნაში; კვლევითი პროექტების ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა;

4.2.8. შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო კონკურსის ორგანიზება, ადმინისტრირება და დაფინანსებული პროექტების მონიტორინგი.

4.2.9. ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობის შესახებ, ასევე განხორციელებული სამეცნიერო პროექტების რეგისტრაცია და შედეგების ანალიზი;

4.2.10. უნივერსიტეტში მიმდინარე და განხორციელებული კვლევების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნება.

4.2.11. სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ექსპერტული შეფასების სისტემის ჩამოყალიბება და ხელშეწყობა;

4.2.12. ანტიპლაგიატის კულტურის დანერგვის კოორდინირება, უნივერსიტეტში პლაგიატის პრევენციის მექანიზმების განხორციელებაზე ზრუნვა და ანტიპლაგიატის ელექტრონული სისტემის ადმინისტრირების/ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

4.2.13. სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების მხარდაჭერა და მათი დაინტერესება კვლევით პროექტებში ჩასართავად;

4.2.14. სამედიცინო განათლების სფეროში ტრენინგების ორგანიზება;

4.2.15. სამედიცინო განათლების სფეროში კონფერენციების ორგანიზება;

4.2.16. სამედიცინო განათლების ხელშეწყობა და პერსონალის პროფესიული გადამზადების ორგანიზება.

4.3. სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურს ხელმძღვანელობს ამავე სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.

4.4. სამსახურის მიერ ფუნქციების ჯეროვნად განხორციელების მიზნით სამსახურში დასაქმებულია სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სპეციალისტი.

5. **კვლევითი საქმიანობის სტრატეგია**

5.1. უნივერსიტეტის კვლევითი საქმიანობის სტრატეგია არის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მომავალი 7-წლიანი საქმიანობის სტრატეგიას კვლევის მიმართულებითი.

6. **კვლევის კულტურის განვითარება უნივერსიტეტში და კვლევითი საქმიანობის შეფასების სისტემა**

6.1. უნივერსიტეტი ხელს უწყობს კვლევის კულტურის დანერგვას უნივერსიტეტში.

6.2. უნივერსიტეტი ხელ უწყობს სტუდენტების და ახალგაზრდა მეცნიერების ჩართვას კვლევით პროექტებში.

6.3. უნივერსიტეტს აქვს აკადემიურ პერსონალის ხელშეწყობის მექანიზმი კვლევების მომზადების და განხორციელებისთვის. კერძოდ, უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალი, რომელიც ეროვნული ან საერთაშორისო ფონდის მიერ უკვე გამოცხადებული საგრანტო კონკურსისთვის ამზადებს საპროექტო წინადადებას ან მიმდინარე სემესტრის განმავლობაში უნივერსიტეტის აფილიაციით წარადგენს სტატიას რეიტინგულ (იმპაქტ-ფაქტორიან) სამეცნიერო ჟურნალში დასაბეჭდად, აღნიშნულ სემესტრში თავისუფლდება სავალდებულო 20 აკადემიური საათით დატვირთვისგან. აღნიშნულმა პერსონალმა სემესტრის ბოლოს უნდა წარმოადგინოს პროექტის ან სტატიის წარდგენის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე, მკვლევარს, რომელსაც მოპოვებული აქვს გარე დაფინანსება, იმ მიზნით, რომ კვლევა განხორციელდეს დაგეგმილ ვადაში, სავალდებულო აკადემიური დატვირთვიდან გამოუთავისუფლდება სემესტრში 20 საათი. აღნიშნულმა პერსონალმა სემესტრის ბოლოს უნდა წარმოადგინოს პროექტის შესრულების ანგარიში.

6.4. უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის შეფასების სისტემაში ნერგავს კვლევითი საქმიანობის შეფასებას, რაც ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის მიერ კვლევის წარმართვას.

7. **სამეცნიერო-კვლევითი ერთეული**

7.1. ფაკულტეტზე სამეცნიერო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით ფაკულტეტის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას ფაკულტეტზე დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დაფუძნებასთან დაკავშირებით, რასაც თავისი გადაწყვეტილებით ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.

7.2. ფაკულტეტის საბჭო უფლებამოსილია, მიიღოს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევითი ერთეულის დებულება, რომლითაც განისაზღვრება ერთეულის სტრუქტურა, ფორმირების წესი, ფუნქციები და უფლებამოსილებები. ფაკულტეტის საბჭოს მიერ წინამდებარე დებულების მიღება, მასში ცვლილებების განხორციელება ექვემდებარება აკადემიური საბჭოს მიერ მის დამტკიცებას.

7.3. უნივერსიტეტში არსებული სამეცნიერო-კვლევითი ერთეული ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის დებულებითა და სხვა შიდა რეგულაციებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

8. კვლევის დაფინანსება

8.1. კვლევითი საქმიანობის დაფინანსება მოიცავს აკადემიური პერსონალისთვის საგრანტო დაფინანსების გაცემას, საერთაშორისო კვლევებში პერსონალის ჩართულობის დაფინანსებას, ლიტერატურის, წიგნების, სტატიების ან/და სხვა სახის პუბლიკაციების შექმნისა და გამოცემის დაფინანსებას, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული ბაზების შეძენას და კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელ სხვა ხარჯებს.

8.2. უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის და აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის დაფინანსება ხდება ღია, საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი პროცედურების შესაბამისად.

8.3. კვლევის დაფინანსება შეიძლება მოიცავდეს როგორც საგრანტო კონკურსის გამოცხადებას, აგრეთვე უნივერსიტეტის მიერ, პირდაპირი მიმართვის საფუძველზე დაფინანსების გაცემას.

8.4. უნივერსიტეტის მიერ კვლევითი პროექტების დაფინანსების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

9. საგრანტო კონკურსი

9.1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო უნივერსიტეტის ბიუჯეტში გამოყოფილი ასიგნებების შესაბამისად, უნივერსიტეტის კვლევის პრიორიტეტების გათვალისწინებით აცხადებს საგრანტო კონკურსს უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის.

9.2. კონკურსი ცხადდება საჯაროდ, ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ინფორმაცია ეგზავნება უნივერსიტეტის პერსონალს ელექტრონულ ფოსტაზე.

9.3. კვლევითი პროექტის წარდგენისთვის განისაზღვრება არანაკლებ ერთთვიანი ვადა.

9.4. კონკურსის ფარგლებში გამოიყოფა გრანტის მოცულობა, რომლის ფარგლებშიც უნდა მოხდეს კვლევითი პროექტების დაფინანსება.

9.5. საგრანტო კონკურსის ფარგლებში აპლიკანტი რექტორის სახელზე წერს განცხადებას და წინასწარ დადგენილი ფორმის გამოყენებით წარადგენს საგრანტო წინადადებას, რომელიც ასევე უნდა მოიცავდეს პროექტის ბიუჯეტს.

9.6. საგრანტო კონკურსში აპლიკაციის მიღებისათვის განსაზღვრულ დროის შუალედში სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახური აპლიკაციის შევსებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ატარებს ღია კარის დღეს, სადაც კონსულტაციებს უწევს კონკურში მონაწილეობით დაინტერესებულ პირებს.

10. საგრანტო კონკურსის შეფასება

10.1. საგრანტო კონკურსის ადმინისტრირებას ახდენს სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახური, რომელიც დაშიფრულ საპროექტო წინადადებას უგზავნის მინიმუმ

ორ გარე ექსპერტს. პროექტის შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია საერთაშორისო ექსპერტის ჩართულობაც.

10.2. საგრანტო კონკურსის შეფასების კრიტერიუმებია:

10.2.1. კვლევის აქტუალობა;

10.2.2. კვლევის კავშირი უნივერსიტეტის მისიასთან;

10.2.3. კვლევის კავშირი უნივერსიტეტის კვლევის პრიორიტეტებთან;

10.2.4. კვლევის განხორციელებაში უნივერსიტეტის აფილირებული პერსონალის ჩართულობა;

10.2.5. კვლევის განხორციელებაში ახალგაზრდების ჩართულობა;

10.2.6. კვლევის პროდუქტიულობა;

10.2.7. ბიუჯეტის რაციონალური განაწილება;

10.2.8. საერთაშორისო თანამონაწილეობა;

10.2.9. კვლევის შედეგების საჯაროობა და სამეცნიერო მნიშვნელობა.

10.3. წინამდებარე მუხლში მოცემული თითოეული კრიტერიუმი ფასდება 3-ქულიანი შკალით.

11. კონკურსის შედეგები და პროექტების მონიტორინგი

11.1. გარე შეფასების შედეგებს უნივერსიტეტის სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახური უგზავნის აკადემიურ საბჭოს, რომელიც შედეგების შეჯამების საფუძველზე იღებს საბოლოო გადაწყვეტილებას კონკურსში გამარჯვებულების გამოვლენის შესახებ.

11.2. კონკურსის ფარგლებში შეიძლება დაფინანსდეს ის პროექტები, რომელთა ჯამური ბიუჯეტი საგრანტო კონკურსისათვის გამოყოფილ საერთო თანხას არ აღემატება.

11.3. თუ შეფასების ფარგლებში პროექტი არ შეფასდება მინიმუმ 18 ქულით, თავისუფალი ფინანსური სახსრების არსებობის მიუხედავად, პროექტი არ დაფინანსდება.

11.4. საგრანტო კონკურსის შედეგების შესაბამისად, პროექტების მიმდინარეობის მონიტორინგს კონკურსის პირობებთან მიმართებით ახორციელებს სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახური.

11.5. კვლევის შეთანხმებული პირობებით ჩატარებასა და გამოყოფილი ფინანსების ჯეროვნად, დადგენილი ბიუჯეტის შესაბამისად ათვისებაზე პასუხისმგებელია განაცხადის წარმდგენი პირი (ან პირთა ჯგუფი), რომელიც პროექტთან დაკავშირებულ სრულ ანგარიშს წარუდგენს უნივერსიტეტის სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურს პროექტის დასრულებიდან არაუგვიანეს 1 თვისა.

11.5.1. იმ შემთხვევაში თუ პროექტის ხანგრძლივობა აღემატება 1 კალენდარულ წელს, განაცხადის წარმდგენი პირი (ან პირთა ჯგუფი) ვალდებულია უნივერსიტეტის სამედიცინო განათლებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურს წარუდგინოს წლიური (შუალედური) ანგარიშები.

12. კვლევის დაფინანსების დამატებითი შესაძლებლობა

12.1. უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია აკადემიური საბჭოს თანხმობით საგრანტო კონკურსებს შორის პერიოდში დააფინანსოს კვლევითი პროექტები უნივერსიტეტის ბიუჯეტში არსებული რესურსების გათვალისწინებით.

12.2. საპროექტო წინადადება მოწმდება მინიმუმ ერთი გარე ექსპერტის მიერ წინამდებარე წესით საკონკურსო განაცხადისთვის გათვალისწინებული კრიტერიუმების შესაბამისად.

12.3. წინამდებარე მუხლში გათვალისწინებული წესით პროექტის დაფინანსებისთვის ასევე მოქმედებს ამავე წესის 11.3 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა.